SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | ივლისი | 2021 | №11

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

# მეშახტე

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / სპორტი / ქალაქის ამბები



## ივლისში, პრემირების ფონდიდან, საშტატო ერთეულზე 200 ლარი გამოიყო!

გვ.2

გვ.2

**ბეჭან წაქაძე:** *„ვიბრძოლებ, რომ მეშახტეების საპენსიო ასაკმა დაიწიოს!“*

## შეაჩერე Covid-19-ის პანდემია

გვ. 7

გვ.4

*გაიცანით ადამიანები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მეშახტეების უსაფრთხოებაზე ზრუნავენ!*

# ივლისში, პრემირების ფონდიდან, საშტატო ერთეულზე 200 ლარი გამოიყო!

საკონსულტაციო საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის სხდომაზე პრემირების პროცედურებში მონაწილე 10 უბანი განისაზღვრა. სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულებისთვის და უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვისთვის, ივლისის თვის ფონდი საშტატო ერთეულზე 200 ლარიან დანამატს გამოყოფს.

პრემიები გადაეცემათ შემდეგი უბის თანამშრომლებს:

1. ზედაპირული კომპლექსის უბანი - 33 თანამშრომელი

2. საშახტო ტრანსპორტის უბანი - 214 თანამშრომელი

3. ფეთქითი სამუშაოების მწარმოებელი უბანი - 40 თანამშრომელი

4. დალამვის უბანი - 37 თანამშრომელი

5. გამამდიდრებელი ფაბრიკა - 47 თანამშრომელი

6. ვენტილაციისა და ტექნიკის უსაფრთხოების უბანი - 30 თანამშრომელი

7. საშახტო აწევის უბანი - 40 თანამშრომელი

8. წყალქცევის უბანი - 39 თანამშრომელი

9. სტაციონალური დანადგარების ჯგუფი - 22 თანამშრომელი

10. მასალების დამზადებისა და მიწოდების უბანი - 14 თანამშრომელი

სრული საპრემიო ფონდი 103200 ლარს შეადგენს (ცალკეულ უბნებში, ივლისში ის შეიძლება სრულად არ გაიცეს და მოხდეს გარკვეული თანხების დარეზერვება). სრული სამუშაო დღეების დამუშავების შემთხვევაში, ივლისის თვეში ისინი მნიშვნელოვან დანამატს მიიღებენ. 516 ადამიანზე ფონდის განაწილებაში, უბნების მიხედვით კომიტეტებში არჩეული თანამშრომლები მონაწილეობენ.

პრემიებს მიიღებენ მიწისქვეშა ელმავლის მემანქანეები, მელულე-მესახელურეები, მებუნკერე-გამგორეები, ელ. ზეინკლები, ამწე მანქანის მემანქანეები, სამთო მუშები, მასალების დამამზადებელ-მიმწოდებლები და სხვები. ასევე ჩამოთვლილი უბნების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ივლისში, პროტესტის გამო სამუშაო ადგილზე თანამშრომლების გამოუცხადებლობამ მოპოვების რაოდენობაზე იმოქმედა, თუმცა გეგმა, რომელიც დაკორექტირდა, მაინც 129%-ით შესრულდა.

„საქნახშირი“ მადლობას უხდის თითოეულ მათგანს იმისათვის, რომ ივლისის თვეში დაიცვეს უსაფრთხოების ზომები, შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა და გამოიჩინეს მაღალი პასუხისმგებლობა.

დანარჩენი უბნების პრემირების პროცედურებში ჩართვის საკითხი პერიოდულად განიხილება. აგვისტოში დაგეგმილია კიდევ 5 უბნის საკითხის განხილვა, რაც პრემირების სისტემაში დამატებით 63 თანამშრომლის ჩართვას ნიშნავს.

# ბეჟან წაქაძე: „ვიბრძოლებ, რომ მეშახტეების საპენსიო ასაკმა დაიწიოს!“

8 თვეა, რაც ბეჟან წაქაძე ტყიბულის, ზესტაფონის, თერჯოლისა და ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატია. მთელი ამ დროის განმავლობაში ის აქტიურადაა ჩართული „საქნახშირში“ მიმდინარე პროცესებში და საკუთარი წვლილი შეაქვს კომპანიასა და თანამშრომლებს შორის ჯანსაღი, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ცოტა ხნის წინ, ბატონმა ბეჟანმა ტყიბულელების საჭიროებების შესახებ პარლამენტის სხდომაზეც ისაუბრა, ასევე აღნიშნა, რომ მეშახტეების შრომა სათანადოდ უნდა დაფასდეს და მეშახტეებისთვის საპენსიო ასაკის დაწევის საკითხიც დააყენა. ბატონი ბეჟანი მიმდინარე პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა.

**ბეჟან წაქაძე:** „მინდა გითხრათ, რომ ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, ჩემი მთავარი საზრუნავია, რომ ამ რეგიონებს მზრუნველი ხელი დაეტყოთ. განსაკუთრებით კი ტყიბულს. ალბათ, სხვები არ მიწყენენ თუ ვიტყვი, რომ ტყიბული განსაკუთრებულად შემიყვარდა და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ტყიბულელების იმედები გავამართლო.

**ბატონო ბეჟან, კონკრეტულად რა შეიცვალა გასული 8 თვის განმავლობაში?**

ვინც დიდი ხანია ტყიბულში არ ყოფილა, ის უფრო მარტივად დაინახავს განსხვავებას - რა იყო 8 თვის წინ და რა არის ახლა. ეს მხოლოდ კონკრეტული ადამიანების დამსახურება არ არის, ეს ხელისუფლების გვერდში დგომის შედეგია. ქალაქი გამოცოცხლებულია, მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები - ტყიბულის ცენტრი ხარაჩოებშია ჩასმული, ლამაზდება. ეს სამუშაოები რომ დასრულდება სხვა კორპუსებზე გადავალთ, კოსტავას ქუჩაც კეთდება და შეძლებისდაგვარად ყველა შენობას უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია. მოწესრიგდა გზები, თითქმის დასრულებულია წყლის გამწმენდი ნაგებობა.

**წყლის საკითხი ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია ამჟამად...**

როგორც აღვნიშნე, წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა დასრულებულია, ძალიან მალე გაიხსნება და ტყიბულს ექნება თანამედროვე სტანდარტებით გაწმენდილი სუფთა წყალი. თვის ბოლომდე დენის გაყვანის სამუშაოებიც დასრულდება და ტყიბულის მოსახლეობა სასმელ წყალს შეუფერხებლად მიიღებს.

ქალაქს, რომელსაც იერსახე არ ჰქონდა, ნელ-ნელა უბრუნდება სიცოცხლე. ტყიბული ბუნებრივად არის ისეთი ლამაზი, თვალს ვერ მოაცილებ. ნებისმიერი სტუმარი, რომელიც ტყიბულს ეწვევა, უნდა მოიხიბლოს ამ ქალაქით და მოუნდეს, რომ რაც შეიძლება დიდხანს

დარჩეს. მე, როგორც მშენებელმა, უნიკალური არქიტექტურული შენობები ვნახე, მათ შორის გერმანელების აშენებული სახლები. მათი ასე დატოვება არ შეიძლება. ამ შენობების საშუალებით უნდა მიეცეს ქალაქს ხალისი, რაც სხვა ქალაქებისგან გამოარჩევს.

**ბოლო დროს ბევრს საუბრობენ ტყიბულის ტურისტულ პოტენციალზე. თქვენ როგორ ხედავთ ამ მხრივ ჩვენი ქალაქის მომავალს?**

საარჩევნო პერიოდიდან მოყოლებული, მთელი ტყიბული და მისი ყველა სოფელი შემოვიარე, გავიცანი არაჩვეულებრივი ადამიანები. ამ თვალით მართლა არასოდეს დამინახავს ტყიბული. ყველა სოფელი ულამაზესია. ის მხოლოდ მეშახტეების ქალაქი არ უნდა იყოს, რადგან მართლაც დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. ისეთი გადმოსახედი, როგორიც ცხრაჯვარია, მსოფლიოში არსად მეგულება. როდესაც პრემიერი ჩამოვა, ამას აუცილებლად გავაჟღერებ. აუცილებლად უნდა აღდგეს საბაგირო, რომ ტურისტებმა ქალაქიდანვე შეძლონ ცხრაჯვარზე ასვლა. დღევანდელი ფასებით, მისი აღდგენა 14 მილიონი ჯდება. დარწმუნებული ვარ, რაღაც ნაწილში სახელმწიფო ამას გაითვალისწინებს და ამ საბაგიროს გავაკეთებთ.

> “დაიმახსოვრეთ, გავა წლები და ტყიბული მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილი იქნება. მე ამაში დარწმუნებული ვარ. მიხარია, რომ ტყიბულის ტურისტულ კონცეფციაზე მუშაობა უკვე დაწყებულია და ინვესტორებს კონკრეტულ პროექტებს შევთავაზებთ. სხვა გამოსავალი, რომ ის სიცოცხლით სავსე ქალაქად იქცეს, არ არის.

მიხარია რომ შახტა ვითარდება და დიდი გეგმებით წინ მიიწევს, მაგრამ ტურიზმი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტყიბულისთვის და პარალელურად უნდა განვითარდეს. აუცილებელია იყოს კაფეები, რესტორნები, სასტუმროები. ეს ყველაფერი უცებ ვერ გაჩნდება, მაგრამ ნელ-ნელა აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

ტყიბულში არის სპორტული დარბაზი, უნიკალური ოლიმპიური სტანდარტების სტადიონი, მაგრამ იმის საშუალება არ არის, რომ სპორტსმენი სადმე დარჩეს. ერთი რომელიმე მიმართულების ამუშავება, ბუნებრივია, დააჩქარებს ყველაფრის ამუშავებას და განვითარებას.

**რეაბილიტაციის სამუშაოები ამჟამად მხოლოდ ქალაქში მიმდინარეობს?**

ძალიან რთული იყო მთელი რესურსის ქალაქ ტყიბულზე მობილიზება, რადგან სოფლებშიც უამრავი რამ გვაქვს გასაკეთებელი (უნდა დასრულდეს გაზიფიკაცია და გზების მოწესრიგება). მაგრამ, ტყიბული დიდ გავლენას ახდენს სოფლებზეც და ჯერ ცენტრი უნდა მოვაწესრიგოთ და შემდეგ გავიდეთ სოფლებზე. როდესაც ფინანსური რესურსი ბევრი არ არის, გიწევს პრიორიტეტების განაწილება. ამჟამად პრიორიტეტი ქალაქი ტყიბულია.

ხელისუფლებასთან ერთად მეც აქტიურად ვმუშაობ ინვესტორების მოზიდვის საკითხზე. პანდემიის გამო ცოტა ჭირს, მაგრამ დარწმუნებული ვარ გამოვა. მანამდე უნდა მოვემზადოთ და გავალამაზოთ ეს ქალაქი. უამრავი მდიდარი ადამიანია მსოფლიოში, ჩვენ ისინი უნდა

ჩამოვიყვანოთ აქ, რომ გააკეთონ ბიზნესი და ქალაქს ეს დაეტყოს - ხალხი დასაქმდეს, ქალაქი გალამაზდეს და გაცოცხლდეს.

ტყიბულს ასევე სჭირდება საავადმყოფო, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე აპარატურით, დაკომპლექტებული იქნება ექიმებით. ტყიბულელს სრულფასოვანი კვლევების ჩასატარებლად სხვა ქალაქში წასვლა არ უნდა დასჭირდეს. სხვათა შორის, ამ საკითხზე შეთანხმება თითქმის მიღწეულია.

**ბატონო ბეჟან, მეშახტეებს შეჰპირდით, რომ საპენსიო ასაკის დაწევაზე დაიწყებდით მუშაობას და პარლამენტის სხდომაზე ეს უკვე გააჟღერეთ კიდეც. როდის გადაწყდება ეს საკითხი?**

მე მეშახტეებს შევპირდი და აუცილებლად ვიბრძოლებ, რომ მათთვის საპენსიო ასაკმა დაიწიოს. ამაზე აქტიურად ვმუშაობ, პარლამენტშიც გავაჟღერე და კულვარებში მივიტანე ეს ინიციატივა. ყველას ვუთხარი, ვისაც ეს ეკუთვნის. დეკემბერში, როდესაც პარლამენტში მივედი, ბიუჯეტი უკვე დამტკიცებული იყო. ასე უცებ ვერავინ გამოყოფს თანხებს, მით უმეტეს ისეთ რთულ სიტუაციაში, როგორშიც ახლა მთელი მსოფლიოა (კოვიდს ვგულისმობ). ამიტომ, მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას უკვე უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ეს გეგმა განხორციელდეს. გაჟღერება ერთია, მაგრამ განხორციელება მეორე - ამას სჭირდება ყოველდღური შრომა. ასეთი საკითხები საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტში წყდება (ანუ, სადაც მე გახლავართ) და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს საკითხი სასიკეთოთ გადაწყდეს.

სოფელში დავიბადე და გავიზარდე და მეც არ ვიცოდი როგორ ხდებოდა მოპოვება, სხვებს მით უმეტეს არ ეცოდინებათ. ტყიბულელებმა მიმაჩვიეს შახტში ჩასვლას. პირველად რომ შევედი რთული იყო, მაგრამ ძალიან კარგი ბიჭები დამხვდნენ. არაერთხელ ჩავედი და არაჩვეულებრივმა ადამიანებმა მიმასპინძლეს.

> “მე პარლამენტში ვთქვი, რომ ადამიანი, რომელიც ყოველდღიურად ამ შრომას გასწევს, განსაკუთრებულად უნდა დაფასდეს. ჩემს კოლეგებს ვუთხარი - ადექით, წამომყევით და ნახეთ როგორ მუშაობენ ჩვენი ბიჭები მეთქი. შენი თვალით თუ არ ნახე, სრული წარმოდგენა ვერ შეგექმნება ამ ხალხის შრომაზე. პარლამეტარებს მივმართე - წამობრძანდით ჩვენთან  და მერე თქვით ბიუჯეტი არ გვაქვსთქო. შახტში მომუშავე 65 წლის ადამიანს სხვანაირი შრომა აქვს გამოვლილი, ის სხვანაირად უნდა დაფასდეს.

**ბატონო ბეჟან, როგორც ვიცით, სოციალურად დაუცველების საკითხიც აქტიურად დგას თქვენს დღის წესრიგში.**

დიახ, ვმუშაობთ სოციალურად დაუცველების თემაზეც. ეს უნდა იყოს ადგილობრივი ხელისუფლების გადასაწყვეტი და არა ცენტრალური ხელისუფლების. უნდა არსებობდეს სპეციალურად შექმნილი ჯგუფი, რომელიც სოციალურად დაუცველის სტატუსს მიაკუთვნებს მათ, ვისაც სჭირდებათ. ქულები ადგილობრივი ხელისუფლების სპეციალურმა კომისიამ უნდა დათვალოს და ეს პროცესი გამჭვირვალე უნდა იყოს.

პარალელურად, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ სოციალური პრობლემები არ გვქონდეს. ამისთვის აუცილებელია ადამიანები დასაქმდნენ. თუმცა, როდესაც ფასადების მოსაწესრიგებლად ბრიგადებს ვაკომპლექტებდით ერთ პრობლემას წავაწყდით - ტყიბულში ვერ ვნახეთ საკმარისი რაოდენობის ხალხი, ვისაც მუშაობის სურვილი ექნებოდა. ამიტომ, ბოლნისიდან, მარნეულიდან, გარდაბნიდან ჩამოვიყვანეთ მუშები.

**როგორ შეაფასებთ განვლილ 8 თვეს და როგორია თქვენი გეგმები?**

გეგმა უამრავია, უბრალოდ დრო სჭირდება ყველაფერს. გული მწყდება, როდესაც რაღაც ახალი კეთდება და შემდეგ ხალხი აზიანებს. კარგია როცა რაღაც კეთდება, მაგრამ გაკეთებულის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია და ეს თითოეული ჩვენგანის ვალია. მნიშვნელოვანია, რომ ყველა გავუფრთხილდეთ ჩვენს ქალაქს და ჩვენს ქვეყანას. უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, სხვანაირად საქმეს ვერ გააკეთებ.

თუ გადავხედავთ ამ 8 თვეს, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ძალიან შემიყვარდა ტყიბული, ძალიან გულღია და თბილი ხალხია. ამიტომ, განსაკუთრებული ენთუზიაზმით ვუდგები ყველა იმ საკითხს, რაც ტყიბულს ეხება. ვნახოთ კიდევ 8 თვის შემდეგ რა იქნება. ჩვენ არ გავჩერდებით. ერთდროულად ყველაფერს ვერ გააკეთებ, მაგრამ მთავარია არ გაჩერდე და თანდათანობით ყველაფერი მიიღწევა. მე არ მიყვარს ტყუილად პასუხისმგებლობის აღება. რადგან დავიწყე, უნდა დავამთავრო. უამრავი რამ გამიკეთებია მაგრამ კიდევ მინდა გავაკეთო და გავიგო სად გადის ჩემი შესაძლებლობების ზღვარი.“

# გაიცანით ადამიანები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში ზრუნავენ მეშახტეების უსაფრთხოებაზე!

საგაზო დაცვისა და მონიტორინგის სამსახური „საქნახშირში“ რამდენიმე წელია შეიქმნა. აქ დასაქმებულები 24 საათის განმავლობაში ზრუნავენ მეშახტეების უსაფრთხოებაზე. მათი უშუალო მოვალეობა CO-ს და მეთანის კონტროლია, რომელიც შახტში სპეციალური კომპიუტერული აპარატურით კონტროლდება და მონაცემები მონიტორზე აისახება. ნახშირის მოსაპოვებლად აფეთქება სწორედ ოპერატორის თანხმობით, CO-ს და გაზის დაშვებული ნორმის გათვალისწინებით ხდება.

საგაზო დაცვისა და მონიტორინგის სამსახურში პროფესიონალი და გამოცდილი სპეციალისტები მუშაობენ.

აღნიშული სამსახური ვენტილაციისა და ტექნიკური უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურს ექვემდებარება, რომლის უფროსიც **ალექსანდრე ჭელიშვილი** გახლავთ.

ბატონმა ალექსანრემ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების სპეცილობით დაამთავრა, რის შემდეგაც მუშობა ტყიბულში, მაშინდელ „სტალინის“ სახელობის შახტში, განიავების პოზიციაზე დაიწყო. აქ 8 წელი იმუშვა, შემდეგ იგივე პოზიციაზე „მინდელის“ სახელობის შახტში გადავიდა. თითქმის 20 წელია შახტზე მუშაობს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საგაზო დაცვის სამსახურის მთვარი სპეციალისტი **ნუკრი ბახუტაშვილია**. ნუკრი სტიქა-

როსანია, ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

„საქნახშირში“ სამუშაოდ 2010 წელს მოვიდა. საშახტო-სატრასნპორტო უბანში ამწე მემანქანის პოზიციაზე 2 წელი იმუშავა. წლების მანძილზე სხვადასხვა კერძო კომპანიაში იყო დასაქმებული. 2017 წელს ნუკრი ისევ „საქნახშირში“ დაბრუნდა სამუშაოდ. ის ერთ-ერთია მათგან, ვისაც საგაზო დაცვის და მონიტორინგის სამსახურის შექმნისას, კომპიუტერული აპარატურის მონტაჟზე უკრაინელ და ჩინელ სპეციალისტებთან ერთად მოუწია მუშაობა.

“ოთხი ადამიანი ვიყავით, ვინც ეს ყველაფერი შევქმენით. ეს იყო ალექსანდრ ლოვინის პროექტი, შახტში კომპიუტერული ტექნოლოგია და ჯი პი ეს კონტროლი დავამონტაჟეთ. საგაზო დაცვა შახტში მეთანს და CO-ს ზომავს. ამ პროექტმა გაამართლა, ეს მეშახტეების უსაფრთხოებისთვის გაკეთდა. იმის მერე, ღმერთის წყალობით, მშვიდობა გვაქვს“ - ამბობს ნუკრი ბახუტაშვილი.

**ელგუჯა ჩორგოლიანი** „საქნახშირში“ 2007 წლიდან მუშაობს. 2011-2018 წლამდე ტყიბულის თბოელექტროსადგურში, თბური ავტომატიკისა და გაზომვების სპეციალისტად მუშაობდა. 2018 წლიდან დღემდე საგაზო დაცვის განყოფილების ოპერატორია.

ბატონი ელგუჯა 1962 წლის 3 ივლისს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალ კინდღში დაიბადა. 1979 წელს წარჩინებით დაამთავრა კინდღის საშუალო სკოლა. 1979-1984 წლებში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. მინიჭებული აქვს ფიზიკოსის, ფიზიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია რადიოფიზიკის სპეციალობით. პარალელურად, 1979-1984 წლებში სწავლობდა სოხუმის ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც დიპლომიც დაიცვა და უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის წოდებაც მიენიჭა. არის მ.ხ.კ. და ავტომატიკის სპეციალისტი. სწავლა უმცროს ინჟინერ ტექნიკოსად N2 კვლევით ლაბორატორიაში გააგრძელა. 1986-1987 წლებში კინდღის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის მთავარ ინჟინერ-კონსტრუქტორად მუშაობდა. 1987-1992 წლებში კინდღის N2 საშუალო სკოლაში ფიზიკას, მათემატიკას, ასტრონომიას, ხაზვას და ინფორმატიკას ასწავლიდა.

1993 წლიდან (აფხაზეთის ომის შემდეგ) ტყიბულში ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე, 2 შვილი (ქალ-ვაჟი) და 3 შვილიშვილი.

**ნანა ბოჭორიშვილი** 2007 წლიდან „საქნახშირის“ თანამშრომელია, რვა წელი „ძიძიგურის“ სახელობის შახტზე, სამთო დისპეჩერად იმუშავა. 2015 წლიდან „მინდელის“ სახელობის შახტზე გადავიდა. ბოლო ექვსი თვეა საგაზო დაცვის სამსახურის ოპერატორია.

ქალბატონ ნანას დამთავრებული აქვს ტყიბულის სამთო-გეოლოგიური ინსტიტუტი

(ინჟინერ-ეკონომიკა და მართვა სამთო მრეწველობაში). 2010-2019 წლებში ამავე ინსტიტუტში ლექტორად მუშაობდა.

ნანა ბოჭორიშვილი სამთოელის ოჯახიდან გახლავთ. ორივე ბაბუა მეშახტე იყო. მამა, ავთანდილ ბოჭორიშვილი, შახტში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა. სწორედ ოჯახის წევრებმა ჩაუნერგეს შახტის სიყვარული. ბაბუა, გრიგოლ ბოჭორიშვილი მაშინდელ „სტალინის„ სახელობის შახტზე 40 წელი გამყვანად მუშაობდა. შოთა სოხაძე 41 წლის განმავლობაში „ძიძიგურის“ სახელობის შახტის გამყვანი იყო.

ნანა ბოჭორიშვილის მეუღლე, ზორბეგი ქარქაშაძეც მეშახტეა. ის „მინდელის“ სახელობის შახტზე მელულე-მესახელურედ მუშაობს. მათ ერთმანეთი სამსახურში გაიცნეს, შეუღლდნენ და 5 წელია ბედნიერად ცხოვრობენ.

ნანა ბოჭორიშვილი: „მეამაყება მეშახტის ოჯახიდან რომ ვარ. შახტა მეორე ოჯახია ჩემთვის. რომ ვიცი, რომ სამსახურში უნდა წავიდე, ყოველი დილის გათენება მიხარია. მიყვარს ჩემი საქმე და თანამშრომლები, ყველა პრობლემა მავიწყდება მათთან. შახტა ერთ-ერთი ღერძია ტყიბულის არსებობისთვის, ვისურვებდი ძლიერ და ლამაზ ტყიბულში იცხოვროს მომავალმა თაობამ.“

**კახა ჭიჭინაძემ** „საქნახშირის“ თბოელექტროსადგურში, თბური ავტომატიკისა და გაზომვების უფროსის მოადგილის პოზიციაზე 2011 წელს დაიწყო მუშაობა. 2018 წლიდან „მინდელის“ სახელობის შახტზე, ვენტილაციისა და ტექნიკური უსაფრთხოების ზედამხედ-

ველობის განყოფილების მექანიკოსად გადავიდა.

მისი მოვალეობაა საგაზო დაცვის მონიტორინგი, დისპეჩერიზაცია, ჩიპების შეკეთება-აღდგენა და პერსონალიზაცია. ასევე მუშაობდა „ენერგო პრო ჯორჯიაში," ბილინგის მენეჯერის პოზიციაზე.

ბატონი კახა პროფესიით ელექტრო ზეინკალია. დამთავრებული აქვს ტყიბულის ტექნიკური სასწავლებელი.

**ფირან გუბელიძემ** „საქნახშირში" მუშაობა 2018 წელს დაიწყო. ჯერ თბოლექტროსადგურში მუშაობდა, შემდეგ „მინდელის" სახელობის შახტის მონიტორინგის სამსახურის ოპერატორი იყო. ამჟამად საგაზო დაცვის მონიტორინგის სამსახურის მექანიკოსის მოადგილეა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავ-

ლა ბაღდათში, მეფუტკრეობაზე გააგრძელა. შემდეგ კი ტყიბულის სამთო ინსტიტუტი დაამთავრა ელექტრო მექანიკოსის სპეციალობით.

დედა, ცირა ცნობილაძე 40 წელია შახტის საატბელო სამსახურის თანამშრომელია. მამა, გიზო გუბელიძე მეშახტე იყო. ის 2017 წლის 9 მაისს შახტში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა.

23 წლის ფირან გუბელიძე ღირსეულად აგრძელებს ოჯახის ტრადიციას. შახტში საქმიანობის პარალელურად მეფუტკრეობას ეწევა და 4 წელია ტყიბულის ანსამბლ „ცხრაჯვარში" ცეკვავს.

**გიორგი გაბრიაძემ** სამხედრო სავალდებულო სამსახურის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური გაიარა. შემდეგ კი ტყიბულის სამთო ინსტიტუტი დაამთავრა ელ. მანქანის სპეციალობით.

გიორგიმ "საქნახშირში" მუშაობა 2011 წელს დაიწყო, მუშაობდა „ძიძიგურის" სახელობის შახტზე და თბოელექტროსადგურში. შემდეგ უცხოეთში წავიდა სამუშაოდ. უცხოეთიდან დაბრუნებულმა მუშაობა შახტში დაიწყო. ის მიმდინარე წლის მაისიდან საგაზო დაცვის მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელია.

**ზურაბ ძიგრაშვილმა** "მინდელის" სახელობის შახტში მუშაობა 2017 წელს განიავების ცვლის უფროსის პოზიციაზე, ათისთავად დაიწყო. რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ სამუშაოდ საგაზო დაცვის მონიტორიგის სამსახურში გადავიდა, სადაც ერთი წელია საგაზო დაცვის ოპერატორის პოზიციაზე მუშაობს.

ზურაბმა საშუალო სკოლა და პროფესიული ტექნიკური სასწავლებელი სამთო ელექტრომექანიკოსის სპეციალობით, ტყიბულში დაამთავრა. მუშაობდა სხვადასხვა კერძო კომპანიებში.

# რაისა ჩერნიკოვა 21 წელი სამთო სფეროში

ქალბატონი რაისა ჩერნიკოვა მრავალი წელია ღირსეულად ატარებს მეშახტე ქალის სახელს.

მან ტყიბულის მეხუთე საშუალო სკოლის რვა კლასი დაამთავრა. შემდეგ უკრაინაში, ქალაქ ნოვაია კახოვკას სასწავლებელში სწავლობდა. სპეციალობით ელექტრო შემდუღებელია. სწავლასთან ერთად მუშაობდა ნოვაია კახოვკას ელექტრო მოტორების ამწყობ საამქროში.

ჩერნიკოვა 1985 წელს საქართველოში ვაჟთან ერთად დაბრუნდა და მუშაობა შახტში, შემდუღელბლად დაიწყო. მან ლითონის მასალების შედუღება დედისგან ისწავლა რომელიც პროფესიონალი შემდუღებელი იყო და წლების მანძილზე ისიც ამ პროფესიით მუშაობდა შახტზე.

ქალბატონმა რაისამ მაშიდელი "ლენინის" სახელობის შახტზე ელექტრო შემდუღებლად 3 წელი იმუშავა, შემდეგ სამუშაოდ ამწე მემანქანის პოზიციაზე გადავიდა. წლების მანძილზე "ლენინის" და შემდეგ უკვე "მინდელის" სახელობის შახტებზე ამწე მემანქანედ მუშაობდა.

ბოლო სამი წელია ქალბატონი რაისა "მინდელის" სახელობის შახტის ზედაპირული კომპლექსის უბნის სამთო მუშაა. მისი შვილი, სერგეი ჩერნიკოვიც შახტის თანამშრომელია.

მეშახტე ქალბატონი 21 წელია სამთო სფეროს ღირსეულად ემსახურება და ყოველთვის გამოირჩევა საკუთარი საქმის სიყვარულით, ერთგულებით და პროფესიონალიზმით. მას ძალიან უყვარს შახტა და მიაჩნია, რომ შახტა არის ერთადერთი მნიშვნელოვანი დასაქმების ობიექტი ტყიბულში.

# ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით საჯაროდ აიცრა

თემურ ჩუბინიძემ, ჩინური წარმოების „სინოფარმის“ ვაქცინის მეორე დოზა სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ტყიბულის კლინიკაში გაიკეთა.

სინოფარმის ვაქცინით, ასევე აიცრნენ მერიის სხვა თანამშრომლები.

,,მიმაჩნია, რომ იმუნიზაციის პროცესში ჩართვა მნიშვნელოვანია, ეს არის თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა. მოვუწოდებ მოსახლობას გაიკეთონ ვაქცინა, რათა გაუფრთხილდნენ როგორც საკუთარ, ისე გარშემომყოფების ჯანმრთელობას და ხელი შეუწყონ ქვეყნის განვითარებას“- აღნიშნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა.

„სინოფარმის“ გარდა, ტყიბულში ხელმისაწვდომია „სინოვაკის“ და “ფაიზერის” ვაქცინაც.

# ბრინჯაოს მედალოსან ილია სულამანიძეს ტყიბულში დახვედრა მოუწყეს!

20 წლის ილია სულამანიძემ სულ ახლახანს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გამართულ ძიუდოს მსოფლიოს ჩემპიონატზე, 100 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ის ასევე  არის ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებში, მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი.

მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს მშობლიურ ქალაქში თვითმმართველობის წარმომადგენლები, გულშემატკივრები და ოჯახის წევრები დახვდნენ.

ახალგაზრდა სპორტსმენს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, თემურ ჩუბინიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ, ნატალია კობახიძემ, ტყიბულის წარმოჩენისათვის მადლობა გადაუხადეს, წარმატებები უსურვეს და საჩუქრად გადასცეს ბიბლია მოჭედილ - მოოქროვილი ყდით.

# მუნიციპალიტეტის მასშტაბით მინი-ფეხბურთის ჩემპიონატი დაიწყო

ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2021 წლის პირველობაზე მინი-ფეხბურთის ჩემპიონატი დაიწყო. მუნიციპალიტეტის მასაშტაბით სპორტულ ღონისძიებაში 18 გუნდი ჩაერთო.

თამაშები ტყიბულის განახლებულ სპორტულ მოედანზე (წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია) გაიმართება.

I, II და III ადგილზე გასულ გუნდებს მუნიციპალიტეტის მერია ფულადი პრიზებით (500-400-300 ლარი) დააჯილდოებს. გარდა ამისა, დაჯილდოვდება საუკეთესო მცველი, მეკარე, თავდამსხმელი, ბომბარდირი და ყველაზე ასაკოვან მონაწილე.

თამაშების გახსნას მუნიციპალიტეტის მერი, თემურ ჩუბინიძე დაესწრო.

გასული წლების მსგავსად, ჩემპიონატი მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელობითა და ორგანიზებით ეწყობა.

# „საქნახშირის“ თანამშრომლებს შორის მინი-ფეხბურთის შეჯიბრი დაიწყო

გასული წლის მსგავსად, “საქნახშირის” თანამშრომლებს შორის მინი-ფეხბურთის ჩემპიონატი მიმდინარეობს. ტურნირი 27 ივლისს დაიწყო. შეჯიბრში 12 გუნდი მონაწილეობს. ფინალში გამარჯვებული გუნდები და საუკეთესო მოთამაშეები გამოვლინდებიან, რომლებსაც კომპანიისგან სერტიფიკატები და ფულადი საჩუქრები გადაეცემათ.

**ვირუსის გავრცელების საპრევენციო რეგულაციებიდან გამომდინარე, ჩემპიონატის ფარგლებში დაგეგმილი თამაშები და ფინალური შეხვედრა დროებით გადაიდო. მინი-ფეხბურთის ჩემპიონატი რეგულაციების მოხსნისთანავე განახლდება.**

# შეაჩერე Covid-19-ის პანდემია

***„საქნახშირში“ Covid-19 ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია იწყება.***

*ვაქცინაცია პანდემიის შეჩერებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამიტომ, კომპანიის მენეჯმენტის ინიციატივით, თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები, სურვილის შემთხვევაში, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე შეძლებენ აცრას.* ***აცრის პროცედურასთან დაკავშირებულ დეტალებზე ინფორმაციისთვის მიმართეთ შრომის უსაფრთხოების განყოფილებას.***

## რა უნდა ვიცოდეთ ვაქცინაციის შესახებ

### *რატომ ვაქცინაცია?*

ვაქცინაცია პანდემიის დასრულების უმთავრესი იარაღია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი თავიდან აგვაცილებს დაინფიცირების ყველა შესაძლო შემთხვევას. ამიტომ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დავიცვათ დისტანცია, ვატაროთ პირბადე და ხშირად დავიბანოთ ხელები. სრულად ვაქცინირებულები, იშვიათ შემთხვევაში, შესაძლოა COVID-19-ით ისევ დაინფიცირდნენ, თუმცა დაავადება გაცილებით მსუბუქი ფორმით განვითარდება და პაციენტი მარტივად გამოჯანმრთელდება.

### *რა პერიოდები უნდა დავიცვათ ვაქცინაციისას?*

Covid-19 ვაქცინების უმეტესობა, სულ მცირე 3 კვირიანი ინტერვალით, ორი დოზის მიღებას საჭიროებს. იმისათვის, რომ ორგანიზმმა მაქსიმალური დაცვა გამოიმუშაოს, ვაქცინის მეორე დოზის მიღებიდან სულ მცირე 7 დღე არის საჭირო.

### *აქვს თუ არა ვაქცინას გვერდითი მოვლენები?*

ამ ვაქცინებს, ისევე როგორც ყველა ვაქცინას, აქვს გვერდითი მოვლენები, რაც შეიძლება გამოიხატოს თავის ტკივილით, ტემპერატურით, დაღლილობით, სიწითლით (აცრის ადგილას). თუმცა, ყველა ეს გვერდითი მოვლენა ძირითადად მსუბუქი ან საშუალოა და მალე გადის. რეაქციათა ეს ტიპი დაახლოებით 50%-60% ადამიანს უფიქსირდება.

### *რამდენად ხშირია ალერგიული რეაქცია ვაქცინებზე?*

ზოგადად, ვაქცინებზე ალერგიული რეაქცია 1 მილიონიდან მხოლოდ 1-2 შემთხვევაში ფიქსირდება. იმ ვაქცინებით აცრისას, რომლებიც დღეს Covid-19 ვირუსის საწინააღმდეგოდ გამოიყენება, 1 000 000 ადამიანიდან ალერგიული შემთხვევა მხოლოდ 5-8 ადამიანს უფიქსირდება. ვაქცინაციის შემდგომი ალერგიული რეაქციების მართვის დამტკიცებული პროტოკოლისა და გეგმის შესახებ ტრენინგი საქართველოში ვაქცინაციის პროცესში ჩართულ ყველა ექიმს გავლილი აქვს. გარდა ამისა, ვაქინაციის ყველა კაბინეტი მომარაგებულია ყველა საჭირო მედიკამენტით.

შეგახსენებთ, რომ ვაქცინაციის მიუხედავად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ზომების დაცვა ჯერ კიდევ სავალდებულოა - აცრის შემდეგ ყველამ უნდა ვიზრუნოთ ხელების ჰიგიენაზე, დავიცვათ დისტანცია და ვატაროთ პირბადე.

***გამოყენებულია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაცია.***

# „საქნახშირის“ ორგანიზებით, მეშახტეებს შორის თევზაობის შეჯიბრი გაიმართა

გასული წლის მსგავსად, ღონისძება შაორის წყალსაცავზე ჩატარდა. თევზაობა დილის 6 საათზე დაიწყო და მასში 50-ზე მეტი მეშახტე იღებდა მონაწილეობას. შეჯიბრის მონაწილეები მამა გაბრიელმა დალოცა.

მეშახტეების მხარდასაჭერად ღონისძებას ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი, ბეჟან წაქაძეც ესტუმრა.

შეჯიბრი 4 საათი გრძელდებოდა. ადგილები ასე გადანაწილდეა:

**I ადგილი - გიორგი ქათამაძე** (1.787 კგ.)

**II ადგილი - მამუკა მანაგქაძე** (1.266 კგ.)

**III ადგილი - ბადრი ძიგრაშვილი** (1.222 კგ.)

„საქნახშირის“ ადმინისტრაციამ თითოეულ გამარჯვებულს ფულადი ჯილდო გადასცა.



საქნახშირი SAKNAKHSHIRI

**მეშახტე**

ივნისი|2021|№10

**სარედაქციო საბჭო:**
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, თამარ გაფრინდაშვილი, ხვიჩა გაბუნია.

**მისამართი:** ტყიბული, თაბუკაშვილის 13

“საქნახშირის” კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri